საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2592 2017 წლის 14 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 აგვისტოს №1678 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 აგვისტოს №1678 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა უნიფორმით აღჭურვასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სამინისტროს გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვადასხვა მიმდინარე გადასახდელების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს

კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოუყოს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი